საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზანქელ ზორაბაბელი

ზანქელ ზორაბაბელი („ქართლის ცხოვრების” ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებით: ზანქან), თბილისელი ებრაელი დიდვაჭარი XII ს. II ნახევარში. თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით გაიგზავნა ჩრდ. კავკასიაში თამარის საქმროს ჩამოსაყვანად. მან სწრაფად შეასრულა დავალება და საქართველოში ჩამოიყვანა ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური (გიორგი), რ-იც, საკუთარი სამფლობელოდან გაძევებული, ყივჩაყთა ქალაქ სევინჯში (სუნჯაში) იყო თავშეფარებული. თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის აზრით, ეს გადაწყვეტილებაც ნაჩქარევი იყო და ზ.ზ-ც არ შეესაბამებოდა ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შემსრულებლის დონეს.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით აღმაშენებელი. – მეფე თამარი, თბ., 2002.

რ. კიკნაძე